

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/65 10 დეკემბერი 2013 წ.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლა)

დებულება

სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-გთუნი) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს;
2. პროფესიული პრაქტიკა გთუნი-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად;
3. პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პრაქტიკის ანგარიში შესაბამის კათედრაზე და საჯაროდ დაიცვას ის;
4. პროფესიული პრაქტიკის ხანგრძლივობაა ერთი სემესტრი;
5. პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი მიმართულების მიხედვით იქმნება ფაკულტეტებზე;
6. პროფესიული პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: გთუნი, სტუდენტი და დამსაქმებელი, ამდენად იგი სამივე მხარისთვის მნიშვნელოვანია;
7. პრაქტიკანტი თავად ანაზღაურებს პრაქტიკის ადგილამდე მგზავრობის და საჭიროების შემთხვევაში, პრაქტიკის განმავლობაში ცხოვრების ხარჯებს

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **პრაქტიკის ხელმძღვანელი** - გთუნი-ს წარმომადგენელი, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკის პროგრამას (სილაბუსს), ამზადებს სტუდენტს ამ გეგმის შესაბამისად, ეხმარება მას პრაქტიკის ანგარიშის დაცვისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოგროვებაში, რაც აგრეთვე მოიცავს პრაქტიკის ადგილზე სტუდენტთან ვიზიტებს;
2. **პრაქტიკის ობიექტი** - ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პროფესიული პრაქტიკის განხორციელებას;
3. **მენტორი** - პირი, რომელიც დანიშნულია ორგანიზაციის (პრაქტიკის ობიექტის) მხრიდან და პასუხისმგებელია ორგანიზაციაში სტუდენტის ზედამხედველობაზე.

მუხლი 3. პროფესიული პრაქტიკის მიზნები

1. **პრაქტიკის მიზნებია:**
 - სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება;
 - რეალურ სამუშაო გარემოში ცოდნის თეორიული და პრაქტიკული აპექტების შერწყმა და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების მიღება;
 - პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარება;
 - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტი დისციპლინურ გარემოში დამოუკიდებლად მოქმედების უნარის ჩამოყალიბება;
 - მომავალი წარმატებული საქმიანობისათვის უახლესი ინფორმაციის, მოწინავე გამოცდილების გაზიარების და ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება;
 - სტუდენტის დაკავშირება დამსაქმებელთან დაკავშირება მისი ცოდნისა და თვითპრეზენტაციის, ასევე შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 4. გთუნი-ს ამოცანები

1. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება პროფილურ ორგანიზაციებთან;

2. სტუდენტთა განაწილება ორგანიზაციებში, მათი სპეციალობისა და აგრეთვე, სურვილის შესაბამისად;
3. სტუდენტთა პრაქტიკის წარმართვა წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პრაქტიკის პროგრამის (სილაბუსის) მიხედვით;
4. პროფესიული პრაქტიკის განხორციელების პროცესში იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომელნიც ხელს შეუწყობენ სტუდენტის პროფესიულ დახელოვნებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მუხლი 5. პროფესიული პრაქტიკის განხორციელების პრინციპები

1. პრაქტიკის განხორციელება, როგორც წესი, შესაძლებელია გთუნი-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა;
2. გამონაკლისი შემთხვევებია:
 - თუკი სტუდენტი თავად ირჩევს პროფესიული პრაქტიკის ობიექტს, კონკრეტულ ორგანიზაციასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე, ორგანიზაცია კი წერილობით უდასტურებს გთუნი-ს რექტორს მზადყოფნას უზრუნველყოს სტუდენტის პრაქტიკის გავლა (მენტორის გამოყოფა, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შექმნა);
 - თუკი სტუდენტი უკვე დასაქმებულია თავისი პროფილის შესაბამისად ან გადის სტაჟირებას პროფილურ ორგანიზაციაში და ორგანიზაცია გამოხატავს მზადყოფნას პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად დაეხმაროს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და პრაქტიკის ანგარიშის დაცვისათვის საჭირო მასალის მოგროვებაში.

მუხლი 6. პრაქტიკის ობიექტი

1. პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - უზრუნველყოს შესაბამისი გარემო პრაქტიკის სწავლის შედეგების მისაღწევად;
 - უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო სტუდენტთათვის;
 - მონაწილეობა მიიღოს სტუდენტის შეფასების პროცესში.
2. პრაქტიკის განმავლობაში უზრუნველყონ სტუდენტები თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობებით. თეორიული მეცადინეობები შეიძლება მოიცავდეს პრეზენტაციებს, შეხვედრებს, საუბრებს და ა.შ. პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტები დამოუკიდებლად შეასრულებენ სხვადასხვა პროფესიულ დავალებებს/კვლევებს.

მუხლი 7. პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობა

1. პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც:
 - ორგანიზებას უწევს პროფესიულ პრაქტიკას;
 - დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს შესაბამისი კათედრის მიერ შერჩეულ პრაქტიკის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების კანდიდატურას;
 - შესაბამის კათედრებთან ერთად ანაწილებს სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტებზე;
 - დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიას.
2. კათედრაზე პრაქტიკის ხელმძღვანელობას ახორციელებს კათედრის ხელმძღვანელი.

მუხლი 8. პრაქტიკის ხელმძღვანელი:

1. პრაქტიკის დაწყებამდე აცნობს სტუდენტს პრაქტიკის სილაბუსს და აწვდის ინფორმაციას:
 - ეთიკის ნორმების შესახებ, რომელიც მან უნდა დაიცვას პრაქტიკის ობიექტზე;
 - მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ; პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
 - დღიურის წარმოების წესისა და ანგარიშის მომზადების შესახებ;
 - პროფესიული პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
2. ათანხმებს მენტორთან სტუდენტის დავალებებს;
3. უწევს სტუდენტს მეთოდურ დახმარებას ინდივიდუალური დავალებების შესრულების, პრაქტიკის ანგარიშის წარმოებაში;
4. ახორციელებს ვიზიტებს პრაქტიკის ადგილზე;
5. ატარებს კონსულტაციებს კათედრაზე პრაქტიკანტათვის;
6. ახორციელებს სტუდენტის შუალედურ შეფასებას.

მუხლი 9. სტუდენტის უფლება-მოვალეობა

1. სტუდენტს უფლება აქვს
 - მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია პრაქტიკის შესახებ და გაიაროს კონსულტაციები პრაქტიკის ხელმძღვანელთან, კათედრის ხელმძღვანელთან და დეკანთან;
 - დეკანის/კათედრის ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებული ობიექტებიდან შეარჩიოს მისთვის სასურველი;
 - მიიღოს პრაქტიკის ობიექტზე განაწილების მიმართვა;
 - დამოუკიდებლად განახორციელოს იმ ორგანიზაციის ძიება, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების მე-6 მუხლის პირობებს და წერილობით უდასტურებს რექტორს თავის მზაობას პრაქტიკანტის მიღების შესახებ.
2. სტუდენტი ვალდებულია:
 - წარმოადგინოს გთუნი-ში ოფიციალური პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში) დოკუმენტი პრაქტიკაზე მიღებისა და მენტორის გამოყოფის შესახებ;
 - მენტორის შეფასება (ხელმოწერით და პრაქტიკის ობიექტის ბეჭდით დამოწმებული -არსებობის შემთხვევაში);
 - პრაქტიკის დღიური (დანართი 1);
 - პრაქტიკის ანგარიში (დანართი 3);
 - პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული დოკუმენტური მასალა.
3. ჩამოთვლილი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენა გახდება სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე არდაშვების საფუძველი.

მუხლი 10. პროფესიული პრაქტიკის პროგრამა

1. პრაქტიკის პროგრამას შეიმუშავებს და წარმოადგენს პრაქტიკის ხელმძღვანელი.
2. პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - უნივერსიტეტის, ფაკულტეტის დასახელება;
 - პროგრამის დასახელება;
 - სემესტრი;
 - კრედიტი;
 - პრაქტიკის განხორციელების ვადები;
 - პრაქტიკის მიზნები;

- პრაქტიკის ხელმძღვანელის მონაცემები;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- შეფასების კრიტერიუმები.

მუხლი 11. პრაქტიკის დღიური წარმოების წესი

1. სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა დღიურში, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში;
2. პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, შესრულებული დავალებების/სამუშაოების აღწერას და აგრეთვე კომპეტენციებს, რომელსაც სტუდენტი, მისი შეხედულების მიხედვით, დაეუფლა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისას;
3. პრაქტიკის დღიურს ერთვის მენტორის შეფასების უწყისი (დანართი 2).

მუხლი 12. პროფესიული პრაქტიკის ანგარიში

1. პრაქტიკის დასრულების შემდეგ, სტუდენტი ადგენს პრაქტიკის ანგარიშს და წარადგენს მას კომისიის წინაშე დაცვის მიზნით;
2. პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რომელიც სტუდენტმა შეისწავლა და შეასრულა პრაქტიკის განმავლობაში;
3. ანგარიშს უნდა დაერთოს რომელიც შეეხება პრაქტიკის ობიექტის საქმიანობას და პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შინაარსს.

მუხლი 13. პროფესიული პრაქტიკის ანგარიშის გაფორმება

პრაქტიკის ანგარიში უნდა გაფორმდეს დანართი 3-ის შესაბამისად და სტუდენტის „წერთი ნაშრომის გაფორმების სტანდარტის“ დაცვით.

მუხლი 14. პროფესიული პრაქტიკის შეფასების სისტემა

1. პროფესიული პრაქტიკა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „მაღიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

2. პროფესიული პრაქტიკის შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და პრაქტიკის ანგარიშის დაცვის (დასკვნითი შეფასების) ქულათა ჯამი. ამასთან,

შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა - 40 ქულით;

3. პროფესიული პრაქტიკის შეფასების კომპონენტებია:

N	შეფასების კომპონენტები	სტატუსი	ქულა
I.	მენტორის შეფასება;	შუალედური	40
II.	პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება;	შუალედური	20
III.	პრაქტიკის ანგარიშის დაცვა	დასკვნითი	40
სულ	პრაქტიკის შეფასება		100

4. შუალედური შეფასებების კომპონენტები:

- ა. მენტორის შეფასება - ფასდება 40 ქულით, რომელსაც განაპირობებს პრაქტიკის პროცესში გამოვლენილი ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ხორციელდება სემესტრის მე-15 კვირაში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება სილაბუსში.
- ბ. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება - ფასდება 20 ქულით, რომელსაც განაპირობებს პრაქტიკის პროცესში გამოვლენილი სწავლის შედეგები/კომპეტენციები. ტარდება სემესტრის მე-8 კვირაში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება სილაბუსში.

მუხლი 15. დასკვნითი შეფასება - პრაქტიკის ანგარიშის დაცვა

1. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხდება საჯაროდ კათედრაზე/პროგრამულ მიმართულებაზე, ამ მიზნით გამოყოფილი კომისიის წინაშე.
2. დაცვის პროცედურა ემყარება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს;
3. სასესიო პერიოდის დაწყებამდე 1 კვირით ადრე, პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასების მისაღებად სტუდენტი პრაქტიკის ანგარიშის დასრულებულ ვარიანტს წარუდგენს ხელმძღვანელს.
4. პრაქტიკის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პროფესიული პრაქტიკის დღიური, ხელმოწერილი დაწესებულებიდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის (მენტორის) მიერ და დამოწმებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.
5. პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია, 1 კვირის განმავლობაში დეკანატს წარუდგინოს შესრულებული პრაქტიკის ანგარიშის შეფასება.
6. სტუდენტი პრაქტიკის ანგარიშის დასაცავად კომისიაზე დაიშვება, თუ მის მიერ პრაქტიკის შუალედური შეფასების კომპონენტებში მიღებული ქულათა ჯამი შეადგენს 11-ს ან მეტს.
7. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხორციელდება პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიის წინაშე, რომელსაც ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.
8. პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 40-ზე მეტი ანგარიშის დაცვა;
9. პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც.

მუხლი 16. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის პროცედურა

1. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
 - ა. პრაქტიკის ანგარიშის წარდგენას (5-7 წუთი);
 - ბ. კითხვა-პასუხს;
 - გ. დისკუსიას.
 - დ. შეფასება

2. პრაქტიკის ანგარიშის შეფასების პროცესში კომისიის სხდომა დახურულად ცხადდება.
3. კომისიის წევრები პრაქტიკის ანგარიშის აფასებენ მაქსიმუმ 40 ქულით პრაქტიკის შეფასების წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე:

N	პრაქტიკის საჯარო დაცვის (ზეპირი პრეზენტაციის) შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასება 40 ქულა
1.	<p>პრეზენტაციის სტრუქტურა</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პრეზენტაციის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) კარგად არის დაბალანსებული და ლოგიკურია ▪ პრეზენტაციის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) დაბალანსებულია დამაკმაყოფილებლად ▪ პრეზენტაციის სტრუქტურა დაუბალანსებელი და ნაკლებად ლოგიკურია 	<p>5 ქულა 4-5</p> <p>2-3</p> <p>0-1</p>
2.	<p>ანგარიშის შინაარსობრივი მხარე</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პრაქტიკის მიზნები, ამოცანები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად ▪ პრაქტიკის მიზნები, ამოცანები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნაკლებად ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად ▪ პრაქტიკის მიზნები, ამოცანები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ბუნდოვნად 	<p>10 ქულა 7-10</p> <p>3-6</p> <p>0-2</p>
3.	<p>აუდიტორიასთან კონტაქტი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მთელი პრეზენტაციის მანძილზე სტუდენტს აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი ▪ სტუდენტი ვერ ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს მთელი პრეზენტაციის განმავლობაში ▪ სტუდენტი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან 	<p>8 ქულა 6-8</p> <p>2-5</p> <p>0-1</p>
4.	<p>გამოყენებული მასალა, პრეზენტაციის ტექნოლოგია</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პრეზენტაციისათვის გამოყენებულია მრავალფეროვანი, რელევანტური, ინფორმატიული მასალა, რაც მიწოდებულია ეფექტურად. სტუდენტი კარგად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას ▪ პრეზენტაციისათვის გამოყენებულია რელევანტური მასალა, რაც მიწოდებულია ნაკლებად ეფექტურად. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას ▪ პრეზენტაციისათვის გამოყენებული მასალა მწირია, ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას სუსტად ფლობს 	<p>7 ქულა 6-7</p> <p>2-5</p> <p>0-1</p>
5.	<p>კითხვებზე პასუხი, დისკუსია</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სტუდენტის პასუხები მართებული და არგუმენტირებულია, რაც ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტული და დამაჯერებელია. ▪ სტუდენტის პასუხები დამაკმაყოფილებელია, აკლია არგუმენტირება და დამაჯერებლობა. ვერ ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტულია. ▪ სტუდენტის პასუხები არადაამაჯერებელი და/ან არამართებულია. 	<p>10 ქულა 7-10</p> <p>2-6</p> <p>0-1</p>
სულ		40 ქულა

4. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.
5. კომისიის გადაწყვეტილებას პრაქტიკის ანგარიშის დაცვის და საბოლოო

შეფასების შესახებ სტუდენტს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

6. პრაქტიკის ანგარიშის დაცვის დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი.
7. პრაქტიკის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
8. პრაქტიკა შესრულებულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასებაა 51 ქულა ან მეტი.
9. პრაქტიკის არადამაკმაყოფილებლად (FX) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა პრაქტიკის დაცვაზე დამატებით გასვლის უფლება.
10. თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 40 ქულას და ნაკლებს სტუდენტი პრაქტიკის დაცვაზე დამატებით არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა).
11. პრაქტიკის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, დამატებით ერთხელ გავიდეს დაცვაზე.
12. პროფესიული პრაქტიკის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
13. ოქმს თან უნდა ერთოდეს კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
14. ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტს და შეფასება შედის სტუდენტის სასწავლო ბარათში.
15. პროფესიული პრაქტიკის ანგარიში ფაკულტეტზე ინახება არქივში.
16. უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღებისას სტუდენტი საჭიროებს პროფესიული პრაქტიკის ხელმეორედ გავლას, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.

მუხლი 17. პრაქტიკის ანგარიშის დამატებითი დაცვა

1. მაგისტრანტს უფლება აქვს დამატებითი გავიდეს იმავე სემესტრში პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე, პირველი დაცვიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ.
2. პრაქტიკის ანგარიშის დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება "F" (ჩაიჭრა).
3. პრაქტიკის ანგარიშის დამატებით დაცვაზე მიღებული უარყოფითი შეფასება ავტომატურად განსაზღვრავს სტუდენტის შესაბამის სემესტრულ შეფასებას - 0 ქულა - "F" (ჩაიჭრა).
4. თუ პრაქტიკის ანგარიშის დამატებით დაცვაზე სტუდენტმა დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური და დამატებითი დაცვის შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს "Fx"-ის (ვერ ჩააბარა) ან "F"-ის (ჩაიჭრა) შესაბამის ქულებს, მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) 0 ქულით.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

1. სტუდენტის პროფესიული პრაქტიკის დებულება მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.
2. სტუდენტის პროფესიული პრაქტიკის შესახებ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სწავლების წელი

სპეციალობა

პრაქტიკის დღიური

პრაქტიკის განხორციელების ადგილი:.....

პრაქტიკის ვადები:

სტუდენტის სახელი და გვარი:

პრაქტიკის ხელმძღვანელი:.....

მენტორი:

თბილისი

(წელი)

კვირა	სამუშაოს აღწერა	კომპეტენცია *აღნიშნეთ ქვემოთ მოცემული კომპეტენციების ცხრილის შესაბამისი ნომრით
I.	1. 2. 3.	მაგ. 1,2
II.	...	
III.		
IV.		
V.		
VI.		
VII.		
IX.		
X.		
XI.		
XII.		
XIII.		
XIV.		
XV.		

სწავლის შედეგები/კომპეტენციები:

N.	სწავლის შედეგი	კომპეტენციები (პროგრამის შესაბამისად)
1.	ცოდნა და გაცნობიერება	
2.	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	
3.	დასკვნის უნარი	
4.	კომუნიკაციის უნარი	
5.	სწავლის უნარი	
6.	ღირებულებები	

შუალედური შეფასების უწყისი
მენტორი

N.	შეფასების კრიტერიუმები (კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში)	შეფასების მაქსიმალური ქულა 40
1.		
2.		
3.		
4.		
...		
სულ	სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება	...

მენტორის სახელი, გვარი:

ორგანიზაცია:

შეფასების თარიღი:

ხელმოწერა:

ორგანიზაციის ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკის ანგარიში
(ნიმუში)

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სწავლების წელი

სპეციალობა

პრაქტიკის განხორციელების ადგილი:

პრაქტიკის ვადები:

სტუდენტის სახელი და გვარი:

პრაქტიკის ხელმძღვანელი:

მენტორი:

თბილისი
(წელი)

1. რეზიუმე (პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება).

2. სარჩევი

3. საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა

ანგარიშის ეს ნაწილი უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება და მისამართი და მოკლე ისტორია
- საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა
- სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია; წარმოებული პროდუქცია და/ან მომსახურება და ძირითადი მომხმარებლები
- საწარმოს/ ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა)
- უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების რეგულირება

4. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი ანგარიშის ძირითადი ნაწილია. მასში უნდა აისახოს განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის გზები. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით პრაქტიკის დროს?
- პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განივითარეთ პრაქტიკის პროცესში ?
- რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს სტუდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მის მიერ მანამდე გამომუშავებულ დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს? აქ სტუდენტმა შეიძლება გადმოსცეს ის სიახლეები, რომელსაც გაეცნო პრაქტიკის პროცესში
- რა გავლენას მოახდენს პრაქტიკა სტუდენტის სამომავლო კარიერულ გეგმებზე?

5. დასკვნები

მოიცავს პრაქტიკიდან მიღებულ ძირითად დასკვნებს და ზოგად დაკვირვებას პრაქტიკის ობიექტზე

6. დანართი

გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა.შ.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლა)